საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საჯინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10852/01
17/11/2020

10852-01-2-202011171727

შპს „საქართველოს უნივერსალურ ჯგუფს“

მის: თბილისი, ზაზა ფანასკერტელის ქ. N23 ბინა N5

თქვენი 2020 წლის 12 აგვისტოს N12750 წერილით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციას, გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი უნდა იყოს, დასამუშავებლად მიღებული ნარჩენის აღდგენის ოპერაციის კოდები და აღწერილობა, ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „МУОМ-70 დანადგარი წარმოადგენს ლეგირებული ფოლადის 6 გარსისაგან შემდგარ რეზერვუარს, რაც საპასპორტო მონაცემების მიხედვით სრულიად საკმარისია (რამდენჯერმე აღემატება) დანადგარში განვითარებული წნევისა და ტემპერატურისადმი გამძლეობის მაჩვენებელს“, თუმცა გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დანადგარის საპასპორტო მონაცემები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს МУОМ-70 ტექნოლოგიური დანადგარის საპასპორტო მონაცემები;
- ვინაიდან წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს 38 და 45 მეტრში მდებარეობს 2 საცხოვრებელი სახლი, (საკადასტრო კოდებით 67.02.42.315 და 67.02.42.384) წარმოდგენილი უნდა იყოს მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

ამასთან გიგზავნით, მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროს მოსახლეობის მიერ სამინისტროში წარმოდგენილ წერილს. გთხოვთ, განიხილოთ და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია წერილში მითითებულ მოსაზრებებთან და შენიშვნებთან დაკავშირებით.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე